წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი N1

08 აპრილი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა : წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე კორნელი სალია

სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები: გიორგი დარსალია, თამარ ბელქანია, მაია მიქავა, მამუკა მიქავა, ნანა ქობალია, ეკა სამუშია, რომან კვარაცხელია, ჯულიეტა როგავა, კახა კვარაცხელია.

ასევე ესწრებოდნენ გენდერზე პასუხისმგებელი პირები:

ხატია მაქაცარია - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

თამთა სალია- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალიტი.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ

სხდომა დასრულდა: 12:44 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომის წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე.

   მომხსენებელი: კორნელი სალია - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

2. სხვადასხვა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს : წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხად განხილულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა. საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა, გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ, რომელმაც საბჭოს ძირითად ამოცანებზე, ფუნქციებსა და უფლებამოსილებაზე ისაუბრა. ასევე აღნიშნა, თუ როგორი მნიშვნელოვანია გენდერული საბჭოს მუშაობა მუნიციპალიტეტისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და უფრო მეტი ქალის ჩართულობას საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საბჭოს წევრება გამოთქვეს მოსაზრებები სამოქმედო გეგმის შემუშავების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა თამარ ბელქანიამ ისაუბრა საოკუპაციო საზღვართან მდებარე სოფლებში არსებულ პრობლემებზე და გენდერული საბჭოს ჩართულობაზე აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მექანიზმზე .

ასევე აღინიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი პრობლემა მუნიციპალიტეტში არის ქალთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება, კერძოდ სამშობიარო განყოფილების გახსნა. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზნით კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა მომავალ სხდომაზე წალენჯიხის ევექსის კლინიკის ხელმძღვანელის მოწვევა.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ დაავალა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროს სპეციალიტს გენდერულ საკითხეში თამთა სალიას სტატისტიკის მომზადება.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკითხი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების შესახებ დააყენა ღია კენჭიყრაზე:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

საბჭომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საბჭოს წევრების მიერ წარმოდგენილ იქნას წინანდადებები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან (დამტკიცებასთან) დაკავშირებით. (დანართი N1 შესაბამისად).
2. მომდევნო სხდომაზე მოწვეულ იქნას წალენჯიხის ევექსისი კლინიკის ხელმძღვანელი მაია მაღლაკელიძე.
3. მერიის შესაბამისამ სამსახურმა შეიმუშაოს თანადაფინანსების პროგრამა მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, (კერძოდ სამშობიაროს გახსნის შემთხვევაში თანადაფინანსება)

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საბჭოს წევრებს წარმატებული საქმიანობა უსურვა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია